ითათბირეთ მათი საჭიროებების შესახებ

არ არის აუცილებელი, გააკეთო ეს მარტო. საბჭოს მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ ის, რაც სხვების დასახმარებლად გჭირდებათ.

ერთი გიწვევთ, ემსახუროთ ოჯახს ან ცალკეულ პირს თქვენს მეურვეობაში ან მრევლში, გამოდინარე მისი საჭიროებებიდან. როგორ უნდა გაიგოთ ამ საჭიროებების შესახებ? საბჭოს პრინციპი, რომელიც ეკლესიისთვის ასე მნიშვნელოვანია, გაწვდით ამ იდეას.

მას შემდეგ, რაც განვიხილავთ, რის შესახებ უნდა ვითათბიროთ, ჩვენ დავადგენთ:

1. რჩევის მიღება მამაზეციერისგან.
2. თათბირი ოჯახთან და ცალკეულ პირთან, რომელიც მიგვამაგრეს.
3. თათბირი ჩვენს კომპანიონთან.
4. და თათბირი სხვებთან, რომლებიც მიმაგრებულები არიან იმავე ოჯახთან ან ცალკეულ პირთან.

თათბირი ხელმძღვანელებთან ასევე მნიშვნელოვანია. მომავალში *ლიაჰონაში* დაბეჭდილი სტატიები მზრუნველობის პრინციპებზე გამოავლენს ამ პროცესში ხელმძღვანელებთან თათბირისა და მზრუნველობასთან დაკავშირებული გასაუბრებების როლს.

რაზე ვთათბირობთ

საჭიროებების გარკვევა აუცილებელია მზრუნველობისთვის. მაგრამ რა ფორმა შეიძლება ჰქონდეს ამ საჭიროებებს, არის თუ არა საჭიროების გარდა კიდევ რამე, რაც უნდა შევიტყოთ?

საჭიროებას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა. ადამიანებს, რომლებსაც ვემსახურებით, შეიძლება ჰქონდეთ ემოციური, ფინანსური, ფიზიკური, განათლებასთან დაკავშირებული ან სხვა სირთულეები. ზოგიერთი საჭიროება სხვაზე პრიორიტეტულია. ზოგჯერ მის დასაძლევად დაგვეხმარებიან, ზოგჯერ კი თავად მოგვიწევს მათთან გამკლავება. მცდელობისას, დავეხმაროთ მიწიერ საჭიროებებში ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი მსახურების მოწოდება მოიცავს სხვების დახმარებას აღთქმის

გზაზე სიარულისას და ამაღლებისთვის სამღვდელოების აუცილებელი წეს-ჩვეულებების მიღებისას.

ცალკე პირებისა ან ოჯახების საჭიროებების თათბირის დროს ჩვენ ასევე უნდა ვეცადოთ, გავიგოთ მათი ძლიერი მხარეები. რაში არ ესაჭიროებათ დახმარება? რა ნიჭი ან სამუალებები აქვთ იმისთვის, რომ დალოცონ სხვების ცხოვრება? რაში მდგომარეობს მათი უნიკალური როლი ღვთის სასუფევლის შენებაში? ცალკეული პირის ძალის გააზრება შეიძლება იყოს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ამ პიროვნების საჭიროებების გაგება.

რჩევის მიღება მამაზეციერთან

ჩვენი რწმენის ერთ-ერთი დებულება ისაა, რომ მამაზეციერი ესაუბრება თავის შვილებს (იხ რწმენის სიმბოლოები 1:9). როცა ვიღებთ ახალ დავალებას ვიღაცის მწრუნველობასთან დაკავშირებით, ჩვენ რჩევა უნდა მივიღოთ მამაზეციერისგან ლოცვაში, ვეძიოთ მთაგონება და გაგება მათ საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებზე. ასეთი რჩევის მიღება ლოცვის მეშვეობით უნდა გრძელდებოდეს ჩვენი მწრუნველობის პერიოდში.

თათბირი ოჯახთან და ცალკეულ პირებთან

სად და როგორ ვინახულოთ ცალკეული პირები და ოჯახები, რომლებსაც მოწოდებით უნდა ვემსახუროთ, დამოკიდებულია სხვადასხვა ვითარებებზე, მაგრამ უმუალო თათბირი ცალკეულ პირთან თუ ოჯახთან აუცილებელია ურთიერთობების განვითარებისა და მათი საჭიროებების გასაგებად, იმის ჩათვლით, თუ რა სახით სურთ მათ დახმარების მიღება. ზოგიერთი საკითხი მოითხოვს ლოდინს იმ დრომდე, სანამ არ განვითარდება მნიშვნელოვანი ურთიერთობები. რადგან არ არსებობს ამის შესრულების ერთადერთი გზა, განიხილეთ მემდეგი:

- გაარკვიეთ, სად და როდის ურჩევნიათ მათ შეხვედრა.
- გაეცანით მათ ინტერესებსა და გამოცდილებას.
- დასახეთ დახმარების ხერხი და დაინტერესდით მათი აზრით.

როცა ვამყარებთ ნდობას, განიხილეთ პირადი ან ოჯახური საჭიროებები. დასვით შეკითხვები, თუკი ამას გიკარნახებთ სულიწმინდა.[1] მაგალითად:

- რა სირთულეების წინაშე დგებიან ისინი?
- რა პირადი ან ოჯახური მიზნები აქვთ? მაგალითად, სურთ უკეთესად ჩაატარონ ოჯახური საღამო ან იყვნენ უფრო დამოუკიდებელნი?
- როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ სირთულეების გამკლავებაში და მიზნების მიღწევაში?
- სახარების რომელი წეს-ჩვეულებები ელით მათ მალე? როგორ შეგვიძლია დავხმაროთ მათ საამისოდ მზადებაში?

შესთავაზეთ კონკრეტული დახმარება, მაგ: „ამ კვირაში როდის შეგვიძლია სადილის მოტანა“? გაურკვეველი შეთავაზება, როგორიცაა: „თუ რამე დაგჭირდებათ, გაგვაგებინეთ“ არ არის დიდად მისასალმებელი.

თათბირი ჩვენს კომპანიონთან

რადგან თქვენ კომპანიონთან ერთად ყოველთვის არ იქნებით ერთად ერთსა და იმავე ცალკეულ პირთან ან ოჯახთან, მნიმვნელოვანია ერთად დაგეგმოთ და ითათბიროთ როგორც კომპანიონებმა, როცა შთაგონებას ეძიებთ. აი რამდენიმე შეკითხვა განხილვისთვის:

- როგორ და რამდენად ხშირად საუბრობთ ერთმანეთთან, როგორც კომპანიონები?
- როგორ შეუძლია თითოეულ თქვენგანს, საკუთარ ძალაზე დაყრდნობით, ემსახუროს ოჯახის ან ცალკეული პირის საჭიროებებს?
- რა ისწავლეთ, რა გამოცდილება ან შთაგონება მიიღეთ იმ დროიდან დაწყებული, როცა ბოლოს ისაუბრეთ ცალკეული პირის ან ოჯახის შესახებ?

თათბირი სხვა ადამიანებთან, რომლებსაც დაევალათ მზრუნველობა

კარგი იქნება, თუ დროდადრო ისაუბრებთ მათთან, ვისაც ასევე მიეცა იმავე ოჯახზე ან ცალკეულ პირზე მზრუნველობის დავალება.

სირთულეების მოსაგვარებლად ისაუბრეთ

უხუცესი ჩი ჰონგ (სემ) ვონგი სამოცდაათიანელების ქვორუმიდან იყენებს ამონარიდს მარკოზის სახარებიდან, თავი 2 ჩვენს დღვანდელ ცხოვრებაში, რათა გვაჩვენოს, როგორ გახდა მესაძლებელი იესოსთან ადამიანის თათბირის გამო დავრდომილის მიყვანა იესოსთან.

„შეიძლება ეს ასე იყოს“, ამბობს უხუცესი ვონგი. „ოთხი ადამიანი, ეპისკოპოსის დავალებით, ინახულებდა ბინაზე დავრდომილს. მეურვეობის სულ ბოლო საბჭოზე, მას შემდეგ, რაც ერთბლივად განიხილა მეურვეობის საჭიროებები, ეპისკოპოსმა გასცა ‘შველის’ დავალებები. ამ ოთხ ადამიანს დაევალა იმ მამაკაცის დახმარება. . . .

„[როცა ისინი შენობასთან მივიდნენ, სადაც იესო იმყოფებოდა] იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი. კარში ტევა არ იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი სცადეს, მაგრამ შიგნით ვერ შედიოდნენ. . . . მათ ითათბირეს, რა უნდა მოემოქმედათ, რომ ის კაცი იესოსთან მიეყვანათ განსაკურნებლად. . . . მათ გეგმა შეიმუშავეს. ეს არ იყო ადვილი გეგმა, მაგრამ მათ იგი გამოიყენეს.

„. . . იმ სახლს გადახადეს სახურავი, სადაც იგი იმყოფებოდა: ჩათხარეს ხვრელი და ჩაუშვეს საწოლი, რომელზედაც დავრდომილი იწვა’ (მარკოზი 2:4). . . .

„. . . იხილა იესო მათი რწმენა და უთხრა დავრდომილს: შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები (მარკოზი 2:5).“[2]

მოქმედებისკენ მოწვევა

უხუცესი დიტერ ფ. უხტდორფი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან მოგვიწოდებდა: „ერთად ითათბირეთ, გამოიყენეთ ყველა შესაძლებელი წყარო, ეძიეთ სულიწმინდის შთაგონება, სთხოვეთ უფალს, დაგიდასტუროთ და შემდეგ დაიკაპიწეთ მკლავები და შეუდექით საქმეს.

„მე გპირდებით, რომ თუ მიჰყვებით ამ მაგალითს, თქვენ მიიღებთ კონკრეტულ მითითებას თუ *ვის, რა და როდის,* ასევე *სად* ემსახუროთ უფლის მსგავსად“.[3]

თათბირის ძალა

უხუცესმა ჯეფრი რ. ჰოლანდმა, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, თქვა: თუ გსურთ რაიმეს გაუმჯობესება, უნდა ითათბიროთ ამაზე”. „თათბირისას ჩვენ ვქმნით სულიერ ერთობას, რაც ნიშნავს უფრო მეტ ეფექტურობას ან მიღწევას ერთობლივი მოქმედების ან თანამშრომლობის ხარჯზე და ამის შედეგი აღემატება ცალკეული ნაწილების ჯამს“. R. Scott Lloyd, “Counseling with Councils Is Lord’s System, Elder Ballard Declares,” Jan. 11, 2017, news.lds.org; “Strength in Counsel,” Ensign, Nov. 1993, 77).

სტატიები თემაზე „მზრუნველობის პრინციპები“ უნდა გვეხმარებოდეს, ვისწავლოთ ერთმანეთზე ზრუნვა და ეს არ უნდა მოხდეს გზავნილის გაზიარების სახით. როცა მათზე, ვისზეც ვზრუნავთ, გაცნობის პროცესში ვართ, სულიწმინდა გვიკარნახებს, რა გზავნილი შეიძლება დასჭირდეთ მათ ჩვენი ზრუნვისა და თანაგრძნობის გარდა.

ურთიერთობების განვითარება ასევე თათბირის მნიშვნელოვანი ნაწილია. See also the Ministering Principles article “Building Meaningful Relationships,” in the August 2018 issue of the Liahona, on page 6.

მენიმვნები

1. იხ. *იქადაგე ჩემი სახარება: მისიონერთა სამსახურის სახელმძღვანელო* (2004), 183.
2. Chi Hong (Sam) Wong, “Rescue in Unity,” Liahona, Nov. 2014, 14–15.
3. Dieter F. Uchtdorf, “Providing in the Lord’s Way,” Liahona, Nov. 2011, 55.

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Ministering Principles, June 2018*. ქართული. 15052 131